

საქართველო

ეროვნული
ზინური

საერთოული გაზეთი

სამუშაოთი 14 აპრილი 2001 №152 (1425)

ფასი 50 თეთრი



გორდა — მერანი. თბილისელთაგან ერთ-ერთმა საუკეთესომ იოსებ ღვვიძელმა თავისიც გაიტანა

ბურთი მოფრინდა, ნაკრები გაფრინდა

ბოლნისელებმა სტადიონი შეაკეთ-შეაკოხტავეს, კვირას „თემურ სტეფანიას“ გახსნაზე პარაშუტისტიც დაპატიჟეს და მის მიერ ციდან მოტანილი ბურთით „სიონმა“ მეცამეტე ეროვნულში პირველად იმარჯვა, ამას თუ „ბათუმისა“ და „კოლხეთის“ საშინაო სამ-სამ ქულას მივუმატებთ, გამოვა, რომ მესამე ტურში სამჯერ მასპინძლებმა, სამჯერ სტუმრებმა მოიგეს.

კვლავ დაუმარცხებელია ქუთაისის „ტორპედო“, უქულოდ კი ცხრილის ფსკერზე ზესტაფონის „მეტალურგი“ დაღექილა.

ეს გუშინდელი ამბებია, ახლა კი გუშინდელზე და საქართველოს ნაკრებზე ვთქვათ, რომელიც ხვალ ლუქსემბურგში იქაურებთან ამხანაგურად ითამაშებს. ეს მატჩი ნაკრებში ხუთი წლის მერე დაბრუნებული ალექსანდრე ჩივაძისთვის სადებიუტოა.

ულეგიონერებო გუნდი თბილისიდან ლუქსემბურგს გუშინ პრალა-ფრანკფურტის გავლით გაემგზავრა და გერმანიიდან ავტობუსით საათნახვერიანი მგზავრობის შემდეგ ქალაქ ლუქსემბურგის გოლფკლუბის სასტუმროში დაბინავდა. ნუხელ, როცა ჩვენებურთ იქ შევეხმიანეთ, შვეიცარიული „ციურიხის“ გოჩა ჯამარაული, პოლანდიური პსე-ს გოგა გახოკიძე და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ზაზა ჯანაშია გზაში იყვნენ და მათ ნუთი-ნუთზე ელოდნენ.

გერმანელ ლეგიონერთაგან ნაკრებში მხოლოდ ერთი, ლევან ცქიტიშვილი ითამაშებს, მეორე ფრაიბურგელი ალექსანდრე იაშვილი გუშინდელ თამაშისას დაშავებულია და ფრაიბურგშივე დარჩენილა, დანარჩენი

სამართლმცოდნეობის სამსახური	13	ნაპირი
აიკვლი	13	პაპი
3 ტური		
12 აპრილი, 18:00		
ბათუმი		2
დინამო		0
მეტალურგი		0
ვიბ ჯორჯია		3
კოლხეთი		2
ლოკომოტივი		1
სიონი		2
სამგურალი		0
გორდა		0
მერანი		3
ბურთი		0
ტორპედო		2

ქართველი გერმანელების ნაკრებში მინევე კი ჩივაძემ ამ ეტაპისთვის საჭიროდ არ ჩათვალა.

ხვალდელი მატჩი ჩვენი დროით 10 საათზე დაიწყება.

იხილეთ მე-2, მე-3, მე-4 გვერდები

თამაშები მოკრაპო ქვეყნებისთვის მკლავსობა სპორტის დედა სახეობაა დედა არ გვიყვარს უპილავსა?

ედმონტონში დასრულებულმა მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატმა ისე ჩაიარა, როგორც ზოგადად ამ დონის შეჯიბრებას ეკადრება: არაერთი სენსაციით და უფრო მეტი კანონზომიერი შედეგით. ბოლო სამი დღის მოულოდნელობათაგან გეილ დივერსის თარჯობებში და ალი საიდ სიფის 5000 მეტრზე დამარცხებანი გამოირჩევა. გაბრიელა საბომაც ამტკიცა, ოლგა ეგოროვა დოპინგის დახმარებით თუ მაჯობებსო და იმუქრებოდა, მის გვერდით არ ვირბენო, მაგრამ ირბინა და სამარცხვინო მე-8 ადგილზე გავიდა, ეგოროვა ჩემპიონი გახდა. ჰიშამ ელ გურუჯმა კარიერის ბოლო და მნიშვნელოვანი 1500 მეტრი მოიგო, ამიერიდან იგი 5 კილომეტრზე სირბილს აპირებს. და კიდევ: შაბათს და კვირას ედმონტონში პირადზე უფრო გუნდური სული მეფობდა, მსოფლიოს ჩემპიონატი ესტაფეტებმა დაავიროვეს.

იხილეთ მეათე გვერდი



ფრაგმენტი ვაჟთა 4x100 მეტრიანი ესტაფეტიდან: დენის მიჩელმა ჯოხი ტიმ მონტგომერის გადასცა, ის კი ფინიშზე პირველი იყო

REUTERS ედმონტონიდან

საპარტიო სპორტული ლიგა პირველი 3 ტურში

დინამო ბათუმი ვერ დალაგდა

ბათუმი 2:0 დინამო
10 მიტოვებული (13), 20 ხუცაძე (15)
25 ჰანტურია
18 თურმანიძე
4 არჩვაძე 3 მინდაძე 2 ჩხაიძე
7 შ. ხუცაძე
6 ჭაჭავაძე 10 ტულუში 8 რომანაძე
11 აფხაზაძე 9 მაჭუტაძე
11 ბობოხიძე
9 დარასელია 8 ბურდული
6 სახვაძე 10 მანჭავაძე 7 შაგვულაძე 2 სვანაძე
3 ამისულაშვილი 5 შამიაშვილი 4 ვაშაძე
1 გრიშვიანი

გრიშვიანიშვილის კარზე მასპინძლებმა მე-12 წუთზე მიიტანეს, როდესაც აფხაზაძე სწრაფად გაიტყრა მარჯვენა ფლანგზე და კარგადაც ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც ტულუშმა წამით დააგვიანდა დასარტყმელად. ეს იყო და, ბათუმელებმა სტუმრებს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს და გაცულებულ მომენტს მოყოლილ სამ წუთში თავი დასაყრდენად აღიქვეს. ზედიზედ დალაშქრეს მათი კარი. ორივე გოლის თანაგვტორად ზურაბ არჩვაძე მოგვევლინა. მასპინძელთა მარჯვენა მცველმა ჯერ გრძელი გადაცემით მაჭუტაძე მოძებნა თბილისელთა საჯარიმოში და ამანაც დარტყმა არ დაახანა, ეფექტური თავური ბურთის ბადეში მიუჩინა ადგილი. მერე არჩვაძემ, რომელმაც, ტაიმის ბოლოს ფეხი იტყინა და თამაში ვეღარ გააგრძელა, მარჯვნიდან საჯარიმო შეასრულა. გრიშვიანიშვილი მაღალ ბურთზე კი გამოვიდა და თითქოს უნდა დაუფლებოდა კიდევ, მაგრამ ვერ დაიმორჩილა და იქვე ახლო მდგარ ხუცაძესაც ეს უნდოდა, შალვაძე მეკარის საჩუქარი შეირგო, ბურთის დავარდნა არ აცალა და თავური მიზანში გაგზავნა. ასე იყო, „ბათუმი“ მე-15 წუთისთვის ორი ბურთით დაწინაურდა.

შესტაფორი 12 აგვისტო 18:30 საათი. მატალორტი 1000 (ტვირთვა 10 000)
მეტალურგი 0:3 შიგ ჯორჯია
04-02 მეტალურგი (23; 5); 03 მეტალურგი (82)
1. მეტალურგი
2. ჯორჯია
3. ლორსმანაშვილი
4. გურგენიძე
5. მაღალაყვლიძე
6. კვიციანი
7. კვიციანი
8. სუხიაშვილი
9. ამბუშვილი
10. კრავეცივილი
11. ფირცხალაშვილი
12. მეტალურგი
13. მეტალურგი
14. დოლიძე
15. დიდიმელაშვილი
16. სულთანაშვილი
17. ნოზაძე
18. მუჯირი
19. არქიძე
20. კობიაშვილი
21. მეტალურგი
22. მეტალურგი

ბილი ორივე გუნდის ქომაქთა არცთუ მრავალრიცხოვანი აუდიტორია დიდი ბრძოლის მოლოდინში იყო და ამ მოლოდინმა გაამართლა კიდევ ოდნოდ, თავიდანვე ვიტყვი, მხოლოდ ნაწილობრივ...
სტუმართა სასტარტო შემადგენლობა და ტაქტიკური სქემა იგივე გახლდათ, რაც „ბათუმის“ შემადგენლობაში. გივი ნოლიამ ახლაც ფაქტობრივად, ექვსკაცა შუახაზით და ეული თავდამსხმელი თამაში არჩია. მასპინძელთა თავკაცმა ასლან ბალაძემ ნახევარდაცვაში ოთხი მოთამაშე გააშვს, ორსაც წინ მიუჩინა ადგილი. პოლა, როგორც გამოჩნდა, შედარებით ახალბედა მწვერულის ჩანაფიქრმა ბევრად გამოეცდილს ამკარად ავსობა.

„ბათუმი“ თავიდანვე დაეუფლა უპირატესობას და მძლავრად შეუტია მეტოქეს. პირველი სახიფათო იერიში

სამეორეხარისხილი ნოლიამ სამი მოთამაშე შეცვალა. ბობოხიძეს თავდასხმაში მიუტანა შეუწყვილა, შუა ხაზშიც უფრო გააქტიურა თავისიანები, თუმცა ამით მთლიანობაში ტერიტორიული უპირატესობის გარდა ვერაფერს გამოიჩინა. კი, მართალია, 48-ე წუთზე ბობოხიძეს მიეცა გატანის შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ „ბათუმის“ კართან რეალურ საფრთხე შემეტანა (თამაშარდნა გატანის თუ არ ვიგულისხმებთ) საქმე არ მისულა. მასპინძლებმა კი შესვენების შემდეგ ანგარიშის გაზრდის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. ტულუშმა, აფხაზაძეს, დარჩიძეს ან ხუცაძეს რომ გამართლებოდათ, გივი ნოლიას გუნდს მეტად შეარტყვენდნენ.

კადლი ყეფს. მარაზანი დგას

ვწოლა, მარცხნიდან კი გეწაბე ცილიობა შეტევების ორგანიზებას. წინ ზესტაფონებს უცვლელი დუგეტი, კრავიშვილი-ფირცხალაშვილი გაემსუხვებნათ და ცენტრში მოთამაშე ბესიკ ამასუკელის პასებით დასარტყმელ პოზიციაზე გასვლას ლამობდნენ. აღმოჩნდა, რომ ამოდ, ჯანი კარნევალის მოწაფეები საოცარი სიზუსტით ასრულებდნენ დამრიგებლის დავალებებს. ამიტომაც იყო, პირველ ტაიმში მასპინძელმა კარში ერთხელაც რომ ვერ დაარტყეს. სტუმრები მოედნის შუაგულში მძლავრობდნენ და უფრო მეტიც, „მეტალურგის“ ფეხბურთელებს მოედნის მათსავე ნახევარზე ავიწროებდნენ. ყოველივე ამის გამო ისედაც შეუთამაშებელი მასპინძლები ხშირად სცოდავდნენ. ერთ-ერთი ასეთი შეცდომა კი ძვირად დაუჯდათ. ბურთი საჯარიმის წინა ხაზთან ზურგიით მდგომ მელქაძეს მიუვიდა, იგი უეცრად შემობრუნდა და მერკვილიშვილს მარჯვენა კუთხეში გაუტანა. ეს მოხდა 23-ე წუთზე. აქედან მოყოლებული იმავე მელქაძემ, ადამიამ და დოლიძემ პირველი ტაიმის დასრულებამდე კიდევ მოახერხეს, პირისპირ შეპყრობდნენ მასპინძელთა მეკარეს, მაგრამ მერკვილიშვილმა სამივეს ავსობა. ტაიმის დასრულება.

პირველი ლიგა პირველი
დღეს იწყება პირველი დღე საქართველოს ჩემპიონატი, თუმცა პირველი ტურის სამი მატჩის გამართვას უკვე საფრთხე ებუქება. კერძოდ, „დილა“ — „ლაზიკას“, „ბერია“ — „ქობულეთსა“ და „ცხინვალის“ — „თორს“. საქმე ისაა, რომ ზუგდიდის „ლაზიკას“, სამტრედიის „ბერიას“ და ბორჯომის „თორს“ ჯერაც არ შეუტანიათ სფეროში სამონაწილო თანხა — 12 000 ლარი. ამასთან ერთად, „თორს“ სულაც შესაბამისი საბუთებიც კი არ წაუღია ფედერაციიდან.

საპარტიო სპორტული ლიგა პირველი 1 ტურში
ვერ მოხერხდა. დღეს ზუგდიდის „ლაზიკას“ და სამტრედიის „ბერიას“ მატჩების დაწყებამდე ბოლო ვადა მიეცათ. „თორს“ კი, ფაქტობრივად, ჩემპიონატში მონაწილეობის შანსიც აღარ აქვს.
ფედერაციაშიც ეს გვითხრეს: თუკი ეს გუნდები ვერც ამჯერად მოავარდებიან პრობლემებს, მაშინ შემოთ ჩამოთვლილი სამი თამაში გაურკვეველი ვადით გადაიდება. საბოლოო გადაწყვეტილებას სფეროს საგანგებო კომიტეტი მიიღებს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მერაბ ფორდანი, ვალერი ჩოლოია და ალექსანდრე ჩივაძე. მოგესხნებათ, ეს სამეული ამჟამად

ბელგია I ტური
ლიდისი და ლუკსემბურგი
01 პანტურა (4), 11 გადიაგა (38)

პოლონეთი A ჯგუფი
მე-4 ტური: ოსტროვიცე — პოლონია 0:2
ვისლა — ვისლა 2:2

დანია
მე-4 ტური: ორბუსი — მიდელტუნდი 0:2
სილვერბორგი 3:1

რუმინეთი
მე-2 ტური: ბრაშოვი — სპორტული 2:0
სტილია — უნივერსიტეტი 4:2

უზბეკეთი
მე-1 ტური: ფერენკანოვი — ვაფა-პურიჩი
მეტ — უნივერსიტეტი 3:1

ბალსტი და შუსპონი
10 დიმიტრა (20)
ბალსტი: კუიოვიჩი, ვან პოვეცენი, არტი, დე

B ჯგუფი
მე-4 ტური: სტომილი — პოგონი 1:1
გროვლინი 1:1

ფინეთი
22-ე ტური: პიკ — მიუბა 2:0
22-ე ტური: იოკინენი 0:2

იტალია
თასის I ეტაპი. I ტური
A ჯგუფი
ტრევიზო და ბარი
არეზო 2:2

თურქეთი
1-ლი ტური: ბუშთაში — ტრამზონი 1:1
რირლიგი — დიარბაგი 4:4

პორტუგალია I ტური
სალვირუზი 0:2
ფარირა 3:1

ლიტვა
გადაღებული მატჩები
საკალასი 0:1

ნორვეგია
მე-3 ტური: ტროსო — რუსენორგი 1:2
მოლდე 4:3

B ჯგუფი
კოზანა და ვინციანი
10 სტრადა (50), 11 დი ნაპოლი (85)

F ჯგუფი
კროტონი და ვინციანი
01 არონიკა (43სკ), 11 პანარელი (83)

ავსტრია
მე-7 ტური: ადმირა — შტურმი 1:2
რაბიდი 2:2

სლოვაკეთი
მე-1 ტური: ბრატისლავა — სპორტოვი
0:0

ნორვეგია (დამატებითი)
რუსენბორგი 18 11 5 2
ლოლესტრომი 17 11 3 3

C ჯგუფი
პალირეო 3:0
10 ამერიანი (50), 20, 30 ბელმონტი (87, 88)

G ჯგუფი
პისტონი და კივიო
01 კორინი (24), 11 ბიანი (43)

სერბია VI ტური
პოლიტარა 0:2
10 რუბინი (62), 11 ხიმა (89)

ლიტვა (დამატებითი)
საკალასი 0:1
10 პაპევიცი (7)

ჩეხეთი
მე-3 ტური: სპარტა — ლიბერეცი 1:2
პრემიერ ლიგა 4:0

D ჯგუფი
მოდანა და ლუმიანი
10 ფანტინი (73)

H ჯგუფი
მეორე და პანურა
10 დი ნაპოლი (66)

სლოვაკეთი
მე-1 ტური: ბრატისლავა — სპორტოვი
0:0

ბელარუსი
გადაღებული მატჩი
ბელშინა 15 11 2 2

რუმინეთი
მე-17 ტური: ბუკინი — გიორგოვი 3:2
ბუკინი — გიორგოვი 3:2

მონტენეგრო
მე-1 ტური: დეგრანი — მონტენეგრო
0:0

იტალია (დამატებითი)
10 ფანტინი (73)
10 მოდარტი (6), 20 სავოლი (56), 21 მელისი (72)

სლოვაკეთი
მე-1 ტური: ბრატისლავა — სპორტოვი
0:0

ბელარუსი (დამატებითი)
ბელშინა 15 11 2 2
ბატე 15 10 2 3

უზბეკეთი
მე-17 ტური: ბუკინი — გიორგოვი 3:2
ბუკინი — გიორგოვი 3:2

საუფლოს ნაპოვანების შესარჩევი ეტაპი
A ჯგუფი
17.08 ერაყი — ტაილანდი 21.09

საუფლოს ნაპოვანების შესარჩევი ეტაპი
B ჯგუფი
16.08 ყატარი — ომანი 21.09

24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
8 22 009 000, 8 22 009 001

საუფლოს ნაპოვანების შესარჩევი ეტაპი
A ჯგუფი
17.08 ერაყი — ტაილანდი 21.09
23.08 ბაჰრეინი — ერაყი 28.09

სიომონის სრავლავს დაეჯერებ ატოლო აბავაი ედმონტონიდან: ბასაკვირიც და რვეულბერიც



REUTERS ედმონტონიდან

კენიელმა უილიამ ჩირჩირმა მამერალ და გაბარებულ პიშამ ელ გურუჯს გამარჯვება მიულოცა

უშვესაზე ედმონტონში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. ტრებიუნებზე ვგარანად მომრავლებული მცურებელი (ანშლაგამდე არცთუ შორს იყო) უდიდესი ინტერესით უჭვრეტდა 10 აგვისტოს ორ აბავას: ქალთა 200 და ვაჟთა 5000 მეტრის გარბენებს. მარიონ ჯონსი 100 მეტრზე განცდილი ფიასკოს შემდეგ (პირველი ადგილის გარდა მისთვის ყველა შემდეგი ფიასკო) ორჯერ გრძელ დისტანციაზე ცდილობდა პრესტიჟის ნაწილობრივ აღდგენას და უნდა ითქვას, რომ გამოვიდა ფინალურ გარბენს რომ ჯონსი მოიგებდა, ძნელი განსაჭვრეტი არ იყო, რადგან 100 მეტრზე ჯონსის გამსწრებ ფანა პინტუსევიჩი-ბლოკს მეტი არსად უბრუნია, აწ უკვე ყოფილმა მსოფლიოს ჩემპიონმა ინგერ მილერმა კი ფინალს საერთოდ ვერ უწია. ბაჰამელი დები ფერგიუსონი, იამაიკელი გულოეტ კემბელი, კამერუნელი ლუონ მირიამ მანი და ამერიკელი კელი უაიტი მარდი გოგონები არიან, მაგრამ არა ჯონსის დარი. ჯონსმა უცებ მოიპოვა უპირატესობა და ვგარანად დაწინაურდა, მაგრამ ფინალში 50 მეტრით აღრე თავი უკან გადაავლო და ნაბიჯებზე შეამოკლა. ორი წლის წინ, სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასე რომ გააკეთა, თურმე ზურვის ტრავმის გამო, ამჯერად ცული არაფერი მომხდარა — ჯონსი მანც პირველი იყო და შემდგომ არც ტრავმაზე უთქვამს რამე.

გამ არა: ელ გურუჯმა, მისივე განცხადებით, ედმონტონში კარიერის ბოლო 1500 ირბინა, ამიერიდან 5000-ზე გადაერევივა, საიდ სიფი კი სწორედ 5000 მეტრს გარბოდა და... წავაო. რაც გინდა თქვით და ჩემპიონატებს და ოლიმპიადებს სხვა სპეციფიკა აქვს: სამ წამზე არანაკლებს უგებდა საიდ სიფი მდევრებს დიდ ტურნირებზე, აქ კი კენიელმა რიკარდ ლიმომ დიდი უპირატესობით (წამნახევრამდე) მოუგო. ლიმო მაინცდამაინც ტიტულაციანი სტაიერი არ გახლავთ, მხოლოდ თანამებრძობის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ყოფილა სამი წლის წინ. კენიელბიდან უფრო დასაჯერებელი იქნებოდა ვთქვათ, სამუელ (სემი) კიპეკტერის გამარჯვება, რომელმაც ძალიან თავხედური სტარტი აიღო და გზის სამი მეხუთედის შემდეგ 20 მეტრით დაწინაურდა. მაგრამ კიპეკტერი რობოტი კი არა, ადამიანი გახლავთ და ერთი წრის შემდეგ საიდ სიფიმა მას პირველობა წაართვა. ბოლო წრის მოუწყვებელ ზარამდე ალერიელი წინ იყო, მერე კი ლიმო ნელ-ნელა წამოეწია და ფინისის სწორზე გასვლისას გაუსწრო. არაბს კონტრ-შეტევა უძაღობის გამო არ უცდია. შაბათს იგივე დისტანცია ქალებმაც არბინეს ასევე ვგარანად ინტრივის თანხლებით, ოღონდ ამჯერად ინტრივა უფრო ადამიანური გახლავთ, ვიდრე სპორტული. გაბრიელა საბო იმ დღეს ბილიკზე იდგა და ხმას არ სცემდა მეზობელ ოლგა ეგოროვას, რომელიც დოპინგზე მხილების მიუხედავად მანც დაუშვეს სასპარტოლო საბის არაფრით ექნება პრეტენზია, ედმონტონშიც ეგოროვამ კი არა, დოპინგმა დამარცხაო, რადგან მე-8 იყო, მაგრამ ეგოროვას შემხედვარეს, სული ცოცხელი, პირველად დოპინგი მოაგონებოდა. საწინააღმდეგო რა გვაქვს, მაგრამ ეგოროვას ფინალური სპრინტი საკმაოდ არაადამიანური იყო. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ბოლომდე მას პრაქტიკულად ოფლი არ მოსდინია. რბოლა ნელ ტრე-

რეში აღმოჩნდა (სადაც 30-ე კილომეტრისთვის). დაღლილებს სხვებიც, ამიტომ მალე თავი მხოლოდ 4 მორბენალი მალა: ტოსა, სიმონი, იაპონელი იოკო შიბუი და რუსი სვეტლანა ზახაროვა. მალე ზახაროვას და შიბუის ბრინჯაოსთვის ბრძოლის შანსიდან შეუტია და რაც ტრიბუნებმა მოწინავე შეინიშნეს, ტოსა 5 მეტრით ჩამორჩენილიყო. სიმონმა გარდევია კიდევ გაზარდა და აბლოდისმენტების თანხლებით ფინიშზე რომ გადავიდა, ტოსას 20 მეტრით კიდევ ჰქონდა დარჩენილი. „მოელი ვა სიდნიზე ვეიქრობდი“ — უთხრა ჟურნალისტებს სინარულით აღელვებულმა სიმონმა და აქ უნდა განვარტოთ: ოლიმპიადზე სიმონს პირველი ადგილი სწორედ იაპონელმა ნაოკო ტაკაჰაშიმ წაართვა (ის ედმონტონში არ ყოფილა) და უფრო პრინციპული კი ის გახლავთ, რომ ოლიმპიადებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების 7 ვერცხლის და ბრინჯაოს მედლის შემდეგ სიმონი პირველად გახდა ჩემპიონი. ამიტომ რუმინელმა იტირა. „ბოლო 100 მეტრზე თავს ვუბნებოდი: „უნდა მოვიგო... უნდა მოვიგო...“ მძიმე შრომისგან ყვირილი მინდოდა და ამის თავი არ მქონდა. გამარჯვება ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს, იქნებ ყველაფერზე მეტსაც.“

აი, ამგვარი ვნებთაღლებით დასრულდა ქალთა მარათონი, ამასობაში კი შვე გვარინად ამოწვერილიყო და ათლებზე უშუალოდ თანამებრძობის სტადიონზე შეუდგნენ თავიანთი მოვალეობების აღსრულებას. დღის მთავარი აბავი უჭველად 1500 მეტრზე ვაჟთა სირბილი იქნებოდა, პიშამ ელ გურუჯი ეულ ფავორიტად რომ არ დარჩენილიყო. რბოლა მან თავის სტილში მოიგო. 800 მეტრამდე მაროკოელი ერთგულმა „კურდღელმა“ ადღილ კაუხმა გააქანა, მერე კი ელ გურუჯმა თავად აკრიფა სირქარე და ფინიშამდე 50 მეტრით აღრე თავს უფლება მისცა, ტრიბუნებისთვის რამდენიმე კონცა გაეგზავნა. მერე ადგილზე მისი მუდმივი და წარუმატებელი კონკურენტი ბენარდ ფაგატი იყო. ქალთა 800 მეტრი მოზამბიკელი მარია მუტოლასა და ავსტრიელი შტეფანი გრაფის ტრადიციული ცხარე ქიშით აღინიშნა. გაუსწრო მუტოლამ და მხოლოდ ახლა ვიგებთ, რომ სიდნიის ოლიმპიადის ჩემპიონსა და კიდევ სხვა ნარგვარი მედლების პატრონს კარიერა ფეხბურთით (!) დაუწყო.

Handball results table for 30 minutes, 400m, 5000m, 1500m, and 4x100m relay events.



REUTERS ედმონტონიდან

იან ეგლენიმი სიდნიის ოლიმპიადის ოქროს მსოფლიოს ჩემპიონატზეც მიაყოლა

Swimming results table for 200m, 500m, 800m, 100m, 200m, 4x100m, and 4x400m relay events.



ლოს ანჯელის კლიპერსი

დაარსდა 1970 წელს
ნბა-ს ჩემპიონი არ ყოფილა
დარბაზი: სტივოლზ სენტერი, ტევადობა 19 282



რაც მტრობას უზენაბია



ბობ მაკალუ 2000 წელს დიდების დარბაზის წევრად იორჩიეს, თავისიანებმა კი თხასავით გაიფიქრეს და მუღმივი ნომერიც არ აღირეს


საორბის ნებისმიერ სათამაშო სახეობაში, ნებისმიერ კვირის ერთი ქალაქის ორი გუნდის ურთიერთშეხვედრას განსაკუთრებული სიმბაფრე და ელფერი ახლავს. თუ არ ჩავთვლით ქალაქ ნიუ იორკის გუნდ „ნიქსს“ და გარეუბან ისტ რეზერვორდის პირში „ნიუ ჯერსი ნეთს“, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მხოლოდ ერთი ნამდვილი დერბი იმართება — თავადაც მიხვდებით, ორ ლოსანჯელესურ კლუბს, „ლიეკერსს“ და „კლიპერსს“ შორის. „კლიპერსს“, ცხადია, გულზე არ ეხატება უფროსი „მმს“ „ლიეკერსი“, ვისთვისაც ფორტუნამ ტიტულები და საფიფქლო დიდება არ დაიშურა, მას კი „ლიეკერსის“ ჩრდილში მარადიული ადგილი დაუკვიდრა. ვერაფერს მოგახსენებთ, რა ხდება მოედანს გარეთ, მაგრამ როგორც კი ორი ლოსანჯელესური გუნდის ურთიერთშეხვედრის დაწყების ნიშნად მსაჯი მეტოქეთა ყველაზე წოწოლა მოთამაშეებს შორის ბურთის პაერში შეისვრის, იმ წამიდან კლიპერსელთა აგრესია „ლიეკერსის“ მიმართ უცხო თვალისთვისაც საინო ხდება. ისტორიის იმეათად ანსოვს შემთხვევა, „კლიპერსს“ თანაქალაქელზე მაღალი ადგილი ეკავოს ცხრილში. ბედის ნებიერი „მმის“ წაქცევი „კლიპერსი“ გულს იფხანს და მცირე ხნით ავიწყდება, რომ ცხრილის ფსკერის ლამის მარადიული ბინადარია.

სრული სახელის პირველი ნაწილის გარდა „კლიპერსს“ და „ლიეკერსს“ დარბაზიც საზიარო აქვთ. 1999 წელს გახსნილი ულტრათანამედროვე „სტეიპლზ სენტერი“ ორივეს შინაური საარბიელია. აქც უპირატესობა „ლიეკერსის“ მხარესაა. თუ მის თამაშებზე, როგორც წესი, „სტივოლზში“ თავისუფალი ადგილები არ რჩება, „კლიპერსის“ ხელმძღვანელობა ბედნიერია, თუ მისი გუნდის შინაურმა შეხვედრამ დარბაზის ორი მესამედი შეავსო. სხვა საქმეა დერბი. ამ დროს იქ ნემსი არ ჩავარდება.

საერთოდ, „კლიპერსი“ განებავრებული არ არის წარმატებით. კლუბის ისტორია ტანჯვა-წვალების ქრონიკაა. ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს. კლუბმა 31-წლიანი არსებობის მანძილზე ითამაშა სამ ქალაქში, რვა დარბაზში, მხოლოდ ექვსი სეზონი დაასრულა მოგება-წაგებების დადებითი ბალანსით, ამდენჯერვე მოხვდა პლეი ოფში, დაბოლოს, ერთადერთხელ მოივო საპ-

ლეიფო სერია. თუ არ ჩავთვლით ბობ მაკალუს, ამ გუნდში არ უთამაშია ისეთი დონის კალათბურთელს, რომელიც მუღმივი ნომერს იმსახურებდა. კლუბის ისტორია 1970 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც ნბა-ს სამ ახალ კლუბს — „პორტლენდ ტრიელ ბლეიზერსს“, „კლივლენდ კავალიერსს“ და „პუფალო ბრეივზს“ გაულოკარი. სწორედ ეს უკანასკნელია „კლიპერსის“ წინაპარი. კლუბის პირველი წარმატებები 206-სანტიმეტრიან თავდასხმელ-ცენტრს, ბობ მაკალუს უკავშირდება. იგი 1972 წელს მივიდა „პუფალოში“ და იმავე სეზონის ბოლოს საუკეთესო ახალბედად დაასახელეს. მომდევნო სამი სეზონი მაკალუ ბრწყინავდა და ეს პერიოდი კლუბის ისტორიაში ოქროს ხანად ითვლება, თუმცა სხვებისთვის გუნდის მაშინდელი მარკეტები იქნებ ჩავარდნაც იყოს. მაკალუ შედიხედ სამჯერ, 1974-76 წლებში გახდა სეზონის ბომბარდირი, 1974-75 წლების სეზონში კი უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს. მან სამჯერვე გაიყვანა „ბრეივზი“ პლეი ოფში, ხოლო 1976 წელს მისი თავგაცობით გუნდმა პირველად და უკანასკნელად დასძლია პლეი ოფის პირველი წრე.

შემდეგ კლუბს ხანგრძლივი კრიზისი დაეწყო, რისი მიზეზიც კლუბის ახალი მფლობელი ჯონ ვაი ბრაუნი გა-



ლამარ ოდომი (ბურთით) თავის ტკუბში მიიღო ჟორდანის ეზომება

ხლდათ. ამ პატიოსანმა მდიდარმა კაცმა 1976 წლის ზაფხულში კლუბი 6,2 მილიონ დოლარად იყიდა და ვალბშიც ჩაეფლო. დაცარიელებული ჯიბის შესავსებად იგი ასეთ ვზას დააღვა — კლუბის აქციათა თითქმის ნახევარი სამ მილიონად სხვას დაუთმო, კიდევ სამი მილიონი კი „ნიუ იორკ ნიქსისგან“ მიიღო ბობ მაკალუს სანაცვლოდ. ასე რომ, გამოვიდა, ბრაუნმა „ბუფალო“ სულ 200 ათასად იყიდა. მან კი აინაზღაურა და-ნაკარგი, მაგრამ „ბრეივზი“ ჩაიძირა, მთელი თხუთმეტი წლით.


შემდეგ სეზონში „ბუფალო“ პლეი ოფში ვერ მოხვდა, მომდევნო წელმაც მხოლოდ წვალება მოუტანა მას. ბუფალოში კალათბურთი ადარავის აინტერესებდა, ამიტომაც კლუბი 1978 წელს ქვეყნის მეორე ბოლოში, წყნარი ოკეანის სანაპირო ოაზისში, სან დიეგოში გადაბარდა და „კლიპერსი“ დაირქვა. კიდევ ექვსი წლის შემდეგ „კლიპერსმა“ ლოს ანჯელესს მიაშურა და იქ სამუდამოდ დაივანა „ლიეკერსის“ ჩრდილში.

მთელი 80-იანი წლები „კლიპერსი“ რომელიმე ხეირანი ვარსკვლავის ხელში ჩაგდებას და პლეი ოფში გადწევას ლამობდა — ახოდ მისთვის პლეი ოფის კარი მხოლოდ 1992 წელს გაიღო, პირველად ბოლო 16 წელიწადში. საშუალო გაქანების ბიჭებმა — დენი მენინგმა, რომ პარკრამა და მარკ ჯექსონმა „კლიპერსი“ საშუალოებში ანაცვლეს და 1992 და 93 წლებში პლეი ოფში გაიყვანეს. 1994 წელს ეს გუნდი დაიშალა. მენინგი დაბრუნდა ბომბარდირ ლომინკ ვილკინსმა გაცვალეს, რომელმაც ამ გუნდში მხოლოდ ორი თვე ითამაშა სხვებიც წავიდ-წამოვიდნენ და „კლიპერსმა“, რაც ჩვენებურად კატარლას ნიშნავს, კვლავ დაგვიბო.

1994 წელს „კლიპერსი“ ვეტერანმა მწვრთნელმა ბილ ფიტჩმა ჩაიბარა, რომელიც იმითაა განთქმული, რომ ნბა-ს მწვრთნელთაგან ყველაზე მეტი მატჩი წაუგია (ამასთან, იგი მხოლოდ სამ კაცს ჩამორჩება მოგებებით). 1996-97 წლების სეზონში 46 წაგებასთან ერთად მან გუნდს 36 გამარჯვება მოუტანა, რაც მოულოდნელად საკმარისი აღმოჩნდა პლეი ოფში მოსახვედრად. შემდეგ ორ სეზონში ფიტჩმა „კლიპერსს“ თამაშების ერთი მეხუთედიც ვერ მოაგებინა და იგი დაითხოვეს. ამჟამად გუნდს ახალგაზრდა ელვინ ჯენსონი თავგაცობს და ჯერჯერობით უნარინადაც მის ხელშია რამდენიმე პერსპექტიული ბიჭი: ლამარ ოდომი, დარიუს მაილზი, ელტონ ბრენდი... ეს ხალხი კლუბის მცირერიცხოვან ქომაგობას უკეთესი მომავლის მიღის უღვიძებს. გუნდის დიდერი, ნიქიერი, მაგრამ თავნება ლამარ ოდომი გაიძახის, ჯორდანზე ნაკლები რით ვარი და ნბა-ს დაყრობით იმუქრება. ჯორდანობისა რა მოგახსენოთ, „კლიპერსს“ კი მისი სჯერა.

ირაკლი ზირაფშილი

პროკლამა



ვეროპელებმა არვიდას საბონისისკენ აგენტები აფრინეს

კვირას მთელი საკალათბურთო მდრიდი აფორიაქდა „ბარსელონას“ „პორტლენდ ტრიელ ბლეიზერსის“ ლიტველი ცენტრის არვიდას საბონისის გადაბირება სურს და უკვე მოლაპარაკებაც დაიწყო კალათბურთელის ესპანელ აგენტთან. მას შემდეგ, რაც საბონისის კლუბთან ხელშეკრულების ვადა დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი გახდა, არცთუ მცირე ხანი გავიდა, „პორტლენდი“ კი ღუმს და ახალ კონტრაქტზე სიტყვასაც არ მრავს. ეს კი საკმარისი საფუძველი გახდა საიმისოდ, რათა ლიტველი ცენტრით დაინტერესებული კლუბები გააქტიურებულიყვნენ.

ჯერ იყო და ბერძნულ „პანათინაიკოსს“ სურდა ლიტველის დათავისება, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. სააშშობლოს გარდა ესპანეთში თუ არა, სხვაგან სად უნდა ახსოვდეთ საბონისის დიდებული თამაში? მან ხომ ნბა-ში გადაბარგებამდე სამი სეზონი კატალონიელების მოსისხლე მტრის, მადრიდის „რეალის“ რიგებში გაატარა. საბონისის არაერთხელ უთქვამს, რომ ვეროპული გუნდებიდან გულს მხოლოდ შშობლიური კაუნასის „ჟალგირისი“ და მადრიდის „რეალი“ ეფინება. მაგრამ, ავერ, კატალონიაში აცხადებენ, დიდი შანსია, მომავალი სეზონიდან ლიტველი ვეტერანი ბარსელონელი გახდეს.

საქმე კატალონიელთა სასარგებლოდ, ალბათ, იმ შემთხვევაში გადაწყდება, თუ „ბარსელონა“ კლუბის სალაროს გულუხვად გახსნის. საბონისის გადასაბირებლად ნბა-ს გუნდები 3-5 მილიონ დოლარს არ იშურებდნენ, ვეროპულ კლუბებს კი ეს თანხა ეძვირებათ.

ისე, არ არის გამორიცხული, საბონისმა თამაში შშობლიურ „ჟალგირისში“ გააგრძელოს. ეს მაშინ, თუ 36 წლის ვეტერანი კარიერის დასრულებას განიზრახავს.



საულიუს შტომბერგასი (№12)

ლათბურთელმაც „ლიმოქს“ მიაშურა, ერთი წლის შემდეგ კი იტალიურ „ტრევიზოში“ გადავიდა. შაკანინან გამთამაშებელს ევროტიტულები არ აკლავს. მისი წარმატებები ფრანგულ „ლიმოქს“ უკავშირდება. ამერიკელმა 1999-2000 წლების სეზონში საფრანგეთის ჩემპიონობასა და თასს კორანას თასიც მიუმატა.

ირაკლი გიბრათია



გუბა ოჯახის შვილია

მელსაც ყველა დანარჩენი მონიკაზე აუგს ვერ დავიცდეთ, გარდა იმისა, რომ მან სულ სამი კვირის წინ მოიხრინა ტურნის გაჭიანურებული პრაქტიკა, დაკნინოვებულ მუხებზე დასვენდა და მათთან ახლოების გასწორებას საკმაოდ ჯან-ღონე დაახარა. ეს კი ლინდის ლევენპორტთან წინასწარ წაგებას ნიშნავდა.


სელემმა მხოლოდ მესამე სეტში გატეხა მერვედენალი შემხვედრი, მეათე ნომრად განთესილი ფრანგი სახლბრტესი აგრეთვე სამი სეტი დასჭირდა მეოთხედენალის მეტოქის, მეოთხე ნომრად განთესილი სერენა უილიამსის ძღვევას. ნახევარფინალში კი სელემის და მსოფლიოს უპირველესი მეჩოგნე ქალის, მარტინა პინგისის გზები გადაიკვეთა. პინგისი იოლად ვის რას გაატანს და სელემმა აქაც ბლომად ოფლი ღვარა. მერე კი ასე ძალგამოცლილი წარუდგა ლევენპორტს.

მიუხედავად ამისა, მონიკა ყოჩაღად იბრძოდა, კორტზე თავმოყრილი ხუთიოდ ათასი ქომავლის გამამხნევებელ შემახილს პარძონიულად ერწყმოდა მისი ოხვრა-კენესა, მაგრამ მხარდაჭერამაც ვერ უშველა, ლინდის აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. პირველი სეტის 6:3 მოგების შემდეგ, მეორე სეტში ლევენპორტმა საკუთარ მოწოდებაზე სელემს გეიმი დაუთმო, მაგრამ არ დაბნეულა, სასწრაფოდ დაიბრუნა დაკარგული და მძლავრადც შეუტია მისი ყუმბარისებური დარტყმების დენით დაოსებულ სელემს. საბოლოოდ, 6:5 ანგარიშზე, საკუთარ მოწოდებაზე და მეტოქის მატჩ-პოინტზე სელემმა მოწოდებისას ორმაგი შეცდომა დაუშვა და ჩემპიონობაც ლევენპორტს გადაულოცა. ეს უკვე ხედიზედ მეცხრედ ფინალში დამარცხებას სელემში არ დაუღონებია, პირიქით, იგი არცთუ უკმაყოფილო ჩანდა. რაც მთავარია, ტრავმა აღარ მასწუებს, ძველ ფორმას ვიბრუნებ, ორ კვირაში ორი ტურნირის ფინალშიც გავედი და კლასიფიკაციაშიც ორი საფეხურით ავინაცვლეო, უთქვამს ნამატჩვეს მონიკას.

არც ლევენპორტმა დაიგუბა პირში წყალი, მონიკას დიდი მოთამაშე უწოდა და აღიარა, ძალიან მინდოდა, პირველის შემდეგ მეორე სეტიც ადრეულად მომეგო, თორემ ეს ხელი ტაბრეიკში რომ გადასულიყო, ვინ იცის, რა მოხდებოდა, სელემს რომ ეთამაშები, ბოლო წამამდე არა ხარ გამარჯვებული.

ამ ტურნირმა ლინდის ლევენპორტი 90 ათასი დოლარით გაამდიდრა და ქალთა კლასიფიკაციაში მესამე საფეხურიდან მეორემდე წასწია.

იხანე კოზიავაძი



გამარჯვებულ-გაბარებული ლინდის ლევენპორტი და არცთუ დანაღვლიანებული მონიკა სელემი

ესხა წყალი, იგი ფინალში მეტოქეზე დასვენებული იქნებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ავსტრალიელი ვერ მოერია საკუთარ თავს, იქნებ წვიმიანი უიმბლდონი გაახსენდა, სადაც წლებულს და შარშან ფინალი წააგო, ან სხვა მრავალი მარცხიანი ფინალი და ჩვეულებისამებრ ფსიქოლოგიურად დამარცხებული იახლა ფინალში გუსტავო კუერტენს.

კვირა დილით, სანამ ფინალის საგზურს დაიბეგებდა, კუერტენმა ბლომად ოფლი ღვარა. პენმანმა იოლად მიიყვანა მეორე, 5:1 ანგარიშზე შეწყვეტილი სეტი სასურველ დასასრულამდე და გადამწყვეტ სეტში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება კუერტენს. ამ უკანასკნელმა მესამე სეტში ტაბრეიკში აჯობა ბრიტს და რამდენიმე წუთში რაფტერთან შერეინების დროც დაუდგა. იგი მხოლოდ 18 წუთი დავისვენე, არადა, ტიმიან მძიმე მატჩი მქონდა და თავს გვარიანად დაღლი-

ლად ვგრძნობდი. საბედნიეროდ, შევძელი, ძალია მომეკრება. — თქვა გუგამ ნამატჩვეს.

პენმანთან გაჯანჯლებულ მატჩში გვარიანად დაქანცულ კუერტენს დასაწყევლად მხოლოდ ოცამდე წუთი ერგო, თუმც სულ რომ არ დაესვენა, ალბათ, მაშინაც აჯობებდა რაფტერს. ბრაზილიელი მეტოქეზე უკეთ აწოდებდა, უკეთ იღებდა, იმვითად ცდებოდა და საერთოდ, ბადის მეორე მხარეს მყოფზე ერთი თავით მაღლა იდგა. გუგას ზუსტმა, მძლავრმა და მოულოდნელი მიმართულებით დარტყმებმა რაფტერი რამდენჯერმე წააბორძიკა. ავსტრალიელმა მატჩის მსვლელობისას რამდენჯერმე ომანიანად შეუბახა საკუთარ თავს, გამოფხიზლიყო, მაგრამ ამაოდ. მან მეტოქეს ოთხჯერ არეკა მოწოდება და საბოლოოდ 1:6, 3:6 განადგურდა. „საკუთარი თავის კონტროლი დავკარგე, არ ვიცოდი, რა მექნა. რასაც ვაკეთებდი, გუსტავოს ყველაფერზე პასუხი წინასწარ მზად ჰქონდა“ — ამბობდა მატჩის შემდეგ ნირწამხდარი რაფტერი. ახლა იგი ისეთი დღეშია, მტერს არ უსურვებს კაცი. ხუმრობა ხომ არაა, რაფტერმა ხედიზედ მესამე ფინალი წააგო, წინა ორისგან განსხვავებით, ამჯერად კლასიფიკაციაში მასზე მაღლა მდგომ მეტოქესთან, თუმც გვეეჭვება, ამან ოზი ანუგეშოს.

გუგამ კი, ცხადია, ერთობ გაიხარა. გარდა იმისა, რომ პრესტიჟული მასტერსის სერის ტურნირის მოგებით საკუთარ ჯიბეს 400 ათასი დოლარი შემატა, კუერტენმა ATP-ს ახლებურ კლასიფიკაციაში დაიბრუნა პირველი ადგილი, რომელიც ერთი კვირის წინ ანდრე აგასის დაუთმო. აღსანიშნავია, რომ კვირა, 12 აგვისტო, კუერტენის მშობლიურ ბრაზილიაში მამების დღეა, გუგამაც ეს გამარჯვება ავადმყოფ მამას და კიდევ იმ სამ ადამიანს მიუძღვნა, რომლებმაც მძიმე ბავშვობაში მამობა გაუწიეს. ესენი არიან დედა, მამა რაფაელი და მწვრთნელი ლარი პასოსი.

ლოს ანჯელესი „ესტილ კომ კლასიკი“ პარდი. საპრიზო 565 ათასი \$

მეოთხედენალი: მარტინა პინგისი (1, აშშ) 6:2, 6:3; ლინდის ლევენპორტი (2, აშშ) — ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) 6:7, 6:4, 6:2; ნაბატალი ტოზინა (5, საფრანგეთი) — კიმ კლასიკერსი (3, ბელგია) 6:4, 6:2; მონიკა სელემი (6, აშშ) — სერენა უილიამსი (4, აშშ) 6:2, 3:6, 7:6 (7:2)

ნახევარფინალი: სელემი — პინგისი 6:3, 1:6, 6:4; ლევენპორტი — ტოზინა 6:4, 6:2
ფინალი: ლევენპორტი — სელემი 6:3, 7:5

ცინცინატი. „მასტერსი“ პარდი. საპრიზო 2,95 მილიონი \$
მეოთხედენალი: მუსტაფა ქაშირბეი (1, ბრაზილია) — ვიგენი კაფელინოვი (6, რუსეთი) 6:4, 3:6, 6:4; ლინდის ლევენპორტი (5, ავსტრალია) — ივან ლუბიჩი (ბოზნა) 7:6 (7:3), 6:7 (3:7), 6:4; ტიმ პენმანი (7, ბრიტანეთი) — ფან-მაიკელ გემბილი (აშშ) 4:6, 6:2, 6:2; პატრიკ რაფტერი (8, ავსტრალია) — გრეგ რუხევი (ბრიტანეთი) 6:7, 7:6 (7:5), 6:4.

ნახევარფინალი: რაფტერი — პოლიტი 6:4, 6:3; ქაშირბეი — პენმანი 6:2, 1:6, 7:6 (7:4).


ფინალი: ქაშირბეი — რაფტერი 6:4, 6:3.

ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი კარგი ბიჭია და მორიგ ფინალურ მარცხს წვიმას არ დააბრალებს, მით უმეტეს, რომ შაბათს ცინცინატის ციდან მოუღწივლა თქვენი მხოლოდ მისი მეტოქე დასველა. შაბათს, შუადღით, როდესაც ავსტრალიელი ტურნირის პირველ ნახევარფინალში ყმაწვილ თანამემამულეს, ლეიტონ პიუიტს ახოქებდა, ცა მხოლოდ ქუხდა და იმუქრებოდა. საბოლოოდ რაფტერი შაბათს მშრალი გადარჩა, ფინალში გავიდა და, აი, იქ კი მშრალზე დარჩა.


შაბათს ოზთა შემდეგ ცენტრალურ კორტზე ბრაზილიელი გუსტავო კუერტენისა და ბრიტანელი ტიმ პენმანისგან შემდგარი მეორე ნახევარფინალური წყვილი გამოვიდა. ბუნებამ ამით მხოლოდ გახურება და მატჩის დაწყება აცალა, შემდეგ კი მუქარაც დასრულა. წვიმამ ათიოდ წუთით შეწყვიტა შეხვედრა. ორიოდ წყვით ვაჟკაც მეჩოგნეებს რას შეამინებდა და თავსხმა რომ ოდნე გაჩნდებოდა, კუერტენმა და პენმანმა თამაში გააგრძელეს. მაგრამ პირველი სეტის შუაწელს ისევ გაიქცნენ კორტიდან, ამჯერად ლამის ორსაათხანხვრით. ტურნირის ორგანიზატორები უეჭველად გადაიტანდნენ მატჩს, მაგრამ მეორე დღეს კვირა იყო, რომელიც ფინალისთვისაა განკუთვნილი. ამიტომ როდესაც, როგორც იქნა, წვიმა შეწყდა, ჩოგბურთელები კვლავ გამოჩნდნენ მოედანზე და წყლით გაჭლენილ კორტზე წყალბურთი გაჩაღეს.

პირველი სეტი კუერტენის იოლი, 6:2 გამარჯვებით დასრულდა. პენმანი მეორე სეტშია ათამაშდა და კარგადაც დაწინაურდა, მაგრამ ახლა უკვე შეუძნეველად მოპარულმა ბინდმა შეუშალა კორტზე მეოთხე წოგნის ქნევაში ხელი. ორგანიზატორები მაინც იძულებულნი გახდნენ, 6:2, 1:5 ანგარიშზე მატჩი მეორე დღისთვის გადაელოთ.

შაბათის წარდგნას, წესით და რიგით, რაფტერის წისქვილზე უნდა და-



ბრაზილიელი მამის დღე გუსტავო კუერტენის დღე იყო




პატრიკ რაფტერმა ხედიზედ მესამე ფინალი წააგო

საბოლოო პირველობა

ნავსი თარსზე გატყდა

ავსტრალიამ ბლედისლოუს თასი უპინარჩუნა



მეტ ბერკი შამპანურით სავსე ბლედისლოუს თასს დასწავდება, კაპიტანმა ჯონ ილზმა კი ან უკვე იგემა, ანაც თავის რიგს ელის

დანიინი, 11 აგვისტო

ახალი ზელანდია 1523 ავსტრალია
სასტარტო შემადგენლობები
ახალი ზელანდია: უილსონი, პოლუტტი, უმაგა, ალანინი, ლომუ, ბრაუნნი, მარ-შალი, ჰოფტი, ოლივერი (კაპ), სომერ-ვილი, ტორნი, ფლეველი, მაქსელი, რე-ნდელი, კრიბი
2ლ: ლომუ, უილსონი; 3გ: მერთენსი; 4ს: ბრაუნნი
ავსტრალია: ბერკი, უოლკერი, ბერნერტი, გრევი, როფი, ლარკერი, გრეგანი, სტი-ლსი, ფოლი, მური, ფინეგანი, პარისონი, ილზი (კაპ), სმიტი, ვეფუ
2ლ: ბერკი, საჯარიმოვ 2გ. და 3ს: ბერკი

ბულ ბურთთან მისწრო ვო როფს და — 5:0.

ოზების პასუხმაც არ დააყოვნა. და-ახლოებით ტაიპის შუაწელში მატჩის გმირმა ბერკმა „შავეის“ მთელი და-ცვა გაარღვია, ჯეფ უილსონს ოვალი თავზე გადაატარა და ბრწყინვალე ლე-ლოც მითვალა. გარდასახვა მანვე შე-ასრულა ზუსტად და სტუმრები პირ-ველად (როგორც აღმოჩნდა, საბოლო-ოდაც) დაწინაურდნენ — 7:5.

ამის მერე თამაში მოედნის ცენტრში გაგრძელდა. ორივე გუნდი თავს გაცი-ლებით უკეთ იცავდა, ვიდრე უტყველა და სახიფათო მომენტებიც ფაქტობ-რივად, აღარ შექმნილა. მსაჯმა ამ დი-მელობისას ორივე გუნდი დააჯარი-მა, მაგრამ ქულები მხოლოდ ავსტრა-ლიამ მიითვალა ბერკის ზუსტი და-რტყმის წყალობით. ტაიმი ასეც მო-რჩა — 10:5 ავსტრალიის სასარგებლოდ. შეხვედრის განახლების შემდეგ ბე-რკმა და ტონი ბრაუნმა თითო საჯა-რიმო გაცვალეს და დაღვა გადამწყვე-

ტი მომენტი. მატჩის დაწყებიდან და-ახლოებით საათი იყო გასული, როცა ბერკის ფეხით პასის მერე ბურთის დასაფულებლად ვო როფი გაიქცა, თუ-მცა სანამ დანიშნულების ადგილამდე მიაღწევდა, იგი რონ კრიბმა შებოჭა. რადგან როფი ლელოს გატანასთან და-ლიან ახლოს იყო და უბურთო კაცის შებოჭვაც აკრძალულია, კრიბს, საფე-ხბურთო ტერმინი რომ ვიხმაროთ, ბო-ლო იმედის ჯარიმა გამოუვიდა. ეს კი რაგბიში, ფეხბურთისგან განსხვავებით, წითელი ბარათით არა და საჯარიმო ლელოთი კი ისჯება. სწორედ ასე მო-იქცა ინგლისელი მსაჯიც.

„საჯარიმო ლელოების დანიშვნა ყო-ველთვის ძნელია. როცა ისინი თქვე-ნია, მხოლოდ მიმატებულ ქულებს ხე-დავთ და ჩვენც ბედნიერები ვართ, ბო-ლოს და ბოლოს, „ქარისბრუკზე“ რომ ვიმარჯვებთ“ — თქვა ვო როფმა, რო-მელიც ამ შემოდგომიდან ფრანგული „ბიარისის“ ღირსებას დაიცავს და ნა-კრებში თამაშის უმცირესი მანძილა აქ-ვს.

„ამის მერე 10 ქულაზე მეტს ვაგე-ბდით და დროც ძალიან ცოტა გვრჩე-ბოდა“ — სინანულს გამოთქვამდა ახა-ლზელანდიელთა კაპიტანი ენტონ ოლი-ვერი.

„ოლ ბლექსმა“ პირველად წააგო „ვო-ლბებთან“ დანიინში. ყველაფერს აქ-ვს დასასრულით. იმ ლელოს შემდეგ ბერკმა გარდა-სახვა და საჯარიმოვ შეაგო და ან-გარიში 23:8 გახადა. მატჩის ბოლოს კი ლომუს პასით უილსონმა მარცხი ცოტა შეაღამაზა. ენდრიუ მერთენსმა ლელო გარდასახვა და საბოლოო ანგა-რიშიც დაფიქსირდა.

სამი ერის ჩემპიონატის მომდევნო შეხვედრა მომავალ შაბათს გაიმართე-ბა მწვანე კონტინენტის ქულაქ პერტში „ფოლაბები“ სამხრეთაფრიკელ „ქურ-ციკებს“ უმასპინძლებენ და პრეტორი-ული წაგებისთვის რევანშის აღებასაც შეეცდებიან.

ზაგი ზურული

ავსტრალია	2	1	0	1	0	1	38:35	5
ახალი ზელანდია	2	1	0	1	0	0	27:26	4
სამხრეთ აფრიკა	2	1	0	1	0	0	23:27	4

შენიშვნა: მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით წაგებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებია



ქისტინ პარისონი დროებით პეირში ჩამოშვდარა



მსოფლიოს რეკორდებს მხოლოდ ავსტრალიელები არ ამყარებენ: აგერ, ბრიტანელ გოგონებსაც გაუხარიათ

ქალთაგუნდის მსოფლიო ჩემპიონატი

მას შამპიონი, რაც ბრიტანელ მო-ცურავეებს მთავარ დამრიგებლად ავს-ტრალიის ოლიმპიური ნაკრების ყოფი-ლი მწვრთნელი ბილი სვიტენჰემი მო-ველინათ, ალბიონელებს გამოცოცხლე-ბა დაეცხეთ. ბრიტანეთმა 22 ივლისიდან მოყოლებული ორი მსოფლიოს, ექვსი ევროპის, რვა თანამეგობრობის და 32 ეროვნული რეკორდი დაამყარეს. აქე-დან ერთი მსოფლიოს რეკორდი კი ამ ორიოდე დღის წინ გააუმჯობესეს.

ავსტრალიის „პატარა წყლის“ ჩემ-პიონატებიდან სამშობლოში დაბრუნებუ-ლმა ბრიტანელებმა პაექრობა ამჯერად ნორვიჩში, „პატარა წყლის“ ეროვნულ ჩემპიონატზე გააჩაღეს. შეჯიბრის ბო-ლო დღეს კი 4X200-ზე „თავისუფალ“ ესტაფეტაში საგანგებო გაცურვისას ქა-ლთა კვარტეტმა ჩემპიონატი ამალე-ბულ ნოტაზე დაასრულა.

კარენ ლევის, ჯენინ ბელტონის, ნი-კოლა ჯეკსონისა და კარენ პიკერინ-გის ოთხეულმა მათ მთვრე შარშან ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩ-ვერები პლანეტის საუკეთესო შედეგი 7:49,11 დაამხო — 7:47,14. ახლანდელ მსოფლიოს რეკორდსმენთა შორის სხ-

ვაობა მხოლოდ ისაა, რომ შარშანდელ ოთხეულში ჯენინ ბელტონის ნაცვლად კლარ პუდარდი შედიოდა.

და მაინც, ბრიტეთი ახლანდელ მსო-ფლიოს რეკორდზე მეტად ფუკუკას საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩე-მპიონატზე მიღწეული წარმატებით ამა-ყობენ. ალბიონელ მოცურავე ქალთა მიერ ამავე დისციპლინაში მოპოვებუ-ლმა ჩემპიონობამ ბრიტანელებს ფრ-თები შეასხა. ბუნებრივია, რადგან მათ აქამდე არასდროს ეხერათ ამგვარ ას-პარეზობებზე. ეს თქმის ქალთა საეს-ტაფეტო დისციპლინებზე. თუმცა, რომ არა ფუკუკას „მსოფლიოს წყლის“ დრამატული ფინალი, მაშინ ბრიტანე-ლიათვის „ოქროს“ მედლები კვლავაც სამომავლო ოცნებად დარჩებოდა. ამის შესახებ ჩვენ უკვე ვაუწყებთ და თავი რომ არ შეგაწყინოთ, მოკლედ შეგახ-სენებთ: 4X200 „თავისუფალ“ ესტა-ფეტაში პირველ-მორე ადგილებზე გა-სულ ავსტრალიისა და აშშ-ს გუნდებს დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მათგან გა-მოთავისუფლებულ ადგილებზე კი ალ-ბიონელებს უხმეს.

ზიზა გუბასაზილი

ჩაჩნის ფული, ბურე — იაბრი, ფატიშოვის მაისურა

ბუშინ, 13 აგვისტოს, მოსკოვში „სპარტაკის თასის“ გათამაშება დაი-წყო. ეს ტრადიციული ტურნირი უკვე მერვედ ტარდება და ყოველ ზაფხულს რუსული პოკეის მთავარ მოვლენად იქ-ცევა-ხოლმე, რადგან ნპლ-ის რუს ვარ-სკვლავებს უფრო თავს მართალია, წლეულს ნაკრებში არანპლ-ელებიც არიან, მაგრამ მთლიანობაში „რუსე-თის ვარსკვლავთა“ (გუნდის ოფიცია-ლური სახელია) შემადგენლობა ძალი-ანაც სოლიდურია. მარტო პაველ ბუ-რეს, ივორ ლარიონოვისა და ალექსეი ჟამნოვის დასახელებაც კმარა. სხვათა შორის, „სპარტაკის თასის“ ორგანი-ზატორი, ჩეჩენი ბიზნესმენი გელმან ტო-ვბულატოვი ბურეს ძველი მეგობარია, ამიტომაც პაველი ამ ტურნირში უფრო დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობს, ვი-დრე ასევე ყოველწლიურ მსოფლიოს ჩემპიონატებში. თუმცა, ეს პოკეისტის პირადი საქმეა, ჩვენ კი ის აღვნიშნოთ, რომ ვარსკვლავთა ნაკრების გარდა, რომელიც პირველი ხუთი ტურნირის გა-მარჯვებულია, „სპარტაკის თასის“ ხუ-თი რუსული კლუბიც შეეცდილება ერ-თმანეთს.



იარომირ იაგრი „საყვარელ“ მოსკოვში ჩადის

ტურნირი 19 აგვისტომდე გასტანს, 14 აგვისტო უქმეა, მაგრამ სწორედ ეს დღე მიზანობის მთავარ ყურადღებას, რადგან ჩატარდება საქველმოქმედო შე-ხვედრა რუს და ჩეხ ვარსკვლავთა შო-რის. რუსმა ჟურნალისტებმა ეს მატჩი „ბურე თიმ“ — „იაგრი თიმ“ დაპირის-პირებად მონათლეს. თავად ის ფაქტი, რომ ჩეხი ნპლ-ელები მოსკოვში ჩადი-ან, უნიკალურია. მით უფრო, რომ რუ-სეთის დედაქალაქს იარომირ იაგრიც ესტუმრება — იგი ხომ არასოდეს მა-ლაგდა თავის ანტიპათიას საბჭოეთის მიმართ, აკი ნომერი „68“ პრალაში მო-მხდარი მოვლენების გამო აირჩია. თუ-მცა ეს უფრო სარეკლამო აქცია გა-ხლავთ. ჩეხების საბოლოო შემადგენ-ლობა ჯერ უცნობია, თუმცა ისინი დიდი

ხანია, ევროპაში იმყოფებიან და უკვე რამდენიმე საქველმოქმედო შეხვედრაც გამართეს. ჰოდა, ამ მატჩებში მონაწი-ლე გუნდით თუ ვიმსჯელებთ, იგი ძა-ლიან ძლიერი უნდა იყოს, იაგრის გა-რდა მასში კიდევ ბევრი სახელოვანი პოკეისტი იქნება, მათ შორის მარტინ სტრაკა, პეტრ ნედევი და რობერტ რაიხელი. ერთი სიტყვით, რუსები მიუ-ღი ზარ-ზეიმით ემზადებიან სტუმარ-თა დასახვედრად, გაისად კი მოსკოვს ასეთივე მისიით შესაძლოა კანადის ან აშშ-ის ნპლ-ელთა ნაკრებიც ესტუმროს.

16 აგვისტოს კი, ტურნირის მორიგი შეხვედრისას ერთ დროს ლეგენდარულ, აწ კი მანჩანალად ქვეულ ცსკ-ს და „რუსეთის ვარსკვლავთა“ შორის, ცსკ-ს დარბაზში სახელოვანი ვიარე-სლავ ფეტიშოვის მისურას ააფრია-ლებენ.

საჩხველ ლარიონი

რადან ახალი სპორტი

აბა, გახურდა უნიკალური სათხილამურო შეჯიბრი ახალ ზელანდიაში, ქვინსტაუნის ახლოს. ჯილბერტის მთის კალთებზე შეგულებულ მთიანე მამაც სპორტსმენებს, რომლებიც თხილამურებით, ფრისტაილის, ექსტრემალური თამაშების, ჩინური თხილამურების სერებებით უნდა დაეშვან მთებიდან. ეს შეჯიბრი თრ კვირას გაგრძელდება. თქვენ კი შეხედეთ, რარიგ ოსტატურად ქრის ცაში იაბონელი ტაქაია მადეა.



REUTERS ქვინსტაუნინდან



REUTERS ოსლოდან

ვიქტორია იმარჯვა

ზემპლმპრამინ კატარლათა პაქტობა ევროპაშიც ისე უყვართ, როგორც აზიაში, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ სპორტის ამ სახეობაში უფრო ხშირად გაერთიანებულ არაბულ საამიროთა შეკატარლენი პირველობენ. ახლაც ასე მოხდა, სკანდინავიის დიდი პრინცი სწორედ საამიროთა ალი ნასერმა და ალი ალქაბამ წაიღეს შინ, რახანლა მათმა „ვიქტორი 1“-მა ყველას აჯობა ოსლოს წყლებში შეჯიბრებისას. პირში ჩალაგამოვლენი დარჩნენ ნორვეგიელთაგან უპირველესი ბიონ გიელსტენი და მისი ბრიტი აქცივილე სტივ კურტისი.

ცხრაფუტა დაფაბი




სამხრეთ აფრიკაში, ჯეფრის ბეის ნაპირად ოქსბოუს გრძელი დაფებით სერფინგის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. გრძელი დაფა სერფინგის ამბავში ჰქვია ცხრაფუტა (ჩვენიებურად 2,77 მეტრის) სიგრძის დაფას და მისით ოსტატური ლივლივი ტალღებზე დიხაც, განსხვავდება სერფინგის სხვა შეჯიბრებებისაგან. ამგვარი დაფით სერფინგობა განსაკუთრებით პოპულარულია პორტუგალიასა და ბრაზილიაში და შეჯიბრის 48 მონაწილიდან 30 სწორედ ამ ქვეყნებში ჩატარებული დიდი შესარჩევი ტურების შედეგად ვლინდება. 14 მონაწილე იმთავითვე განთესილი, როგორც მონინავე, ოთხ ადგილს კი ე.წ. ველური ბარათის მომგებნი იღებენ. ფოტოზე კი ხედავთ, როგორ ებრძვის ცხრაფუტა დაფით ტალღებს ბრაზილიელი როდრიგუ დანილუ.

კობი ბრანიანტი ჰეკინში



REUTERS ბეკინინდან

ამ დღეებში ჩინეთის დედაქალაქში დიდი სმაურობა იყო. ელოდნენ „ღოს ანჯელეს ლეიკერის“ ვარსკვლავ კობი ბრანიანტს, რომელსაც, ერთი რომ „ადიდასის“ სპორტულ-ფესსაცმელ „კობის“ რეკლამა უნდა გაეწია და შეთრეც, ქუჩის კალათბურთის შეჯიბრს უნდა დასწრებოდა შუა პეკინში, ათასწლეულის მონუმენტის წინ. იქ შეყრილი ბრბო ვარსკვლავის მოლოდინში აბობქრდა და როდესაც გამოუცხადეს, რომ არც ბრანიანტი მოვიდოდა და შეჯიბრიც ერთი დღით გადაიწვედა, ბოთლების სროლა ატეხა. პოდა, პოლიციამაც ხელი გაშალა. შეჯიბრი კი მაინც ჩატარდა. კობიმ გამარჯვებულს, ვინმე ვან ვეის თავისი ფესსაცმელი აჩუქა და იყო ერთი ამბავი.



REUTERS ბეკინინდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამაბათს,
ოთხაბათს, ხუთაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳონცხვირია
დირექტორი ვიორგი ოპრომქაძელი
რედაქტორი თამაზ მივრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბუჩიკაძე
ფეხბურთის რედაქტორი რედაქტორი სოსო კობორაძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი მირაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი, ვიორგი დარჯანია, ვიორგი ვაშაყიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქტორი ვია ახლამე, ვიორგი ვიორგიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში ოუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღონაშვილი, ბადრი კვიციანი სტილი-სტილი მაია აბიანიძე, ნათელა ვიორგიანი, ლალი გოზალი-შვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტა-შვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბე-ლაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრის-ტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენ-გიზ ფოფხაძე, ნინო ყუაუჩია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge